ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ნაირი ირიციანს

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა)

პ ე ტ ი ც ი ა

(ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორენიაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ)

პეტიციის წარმდგენი (მომხსენებელი):

ჰაიასტან გინოსიან,
მცხოვრები: ახალქალაქი, სოფელი ხორენია
პირადი N 07901057428
საკონტაქტო ტელეფონი - 551 08 51 95
ელ.ფოსტა: h.ginosyan.pa19@gipa.ge

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბავშვებისთვის მიწოდება. მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან უფასო კვებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორენიაში მცხოვრებ ბავშვებს სკოლამდელ განათლებაზე ხელი არ მიუწვდებათ.

ხორენია ხოსპიოს თემის სოფელია. საბავშვო ბაღი თემის სხვა სოფლებშიც (ხოსპიო, ბავრა, მარტუნი) არ არის. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო (ბოლო) აღწერით, თემში 1969 ადამიანი ცხოვრობს, აქედან, ხორენიაში 504. ხორენია ამ თემის სოფლებს შორის, ახალქალაქიდან - სადაც უახლოესი საბავშვო ბაღია, ყველაზე დიდი მანძილით, 12 კილომეტრით არის დაშორებული. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ყოველდღიურად ამ მანძილის გავლა ძალიან ძნელია - იმ შემთხვევაშიც კი, მუნიციპალიტეტი რომ უზრუნველყოფდეს ხორენიაში მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტირებას ახალქალაქის საბავშვო ბაღში.

ხორენიაში ამ დროისთვის სკოლამდელი ასაკის 35-ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს და საცხოვრებელი ადგილისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიხედვით, ფაქტობრივად, მათი დისკრიმინაცია ხდება.

სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს მოზარდების კოგნიტური, სოციალური, ლინგვისტური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. საბავშვო ბაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებში სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისა და პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებაში, ქცევითი პრობლემების რისკს ამცირებს, მშობელთა დასაქმებას უწყობს ხელს.

სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის და ყველა ბავშვისთვის, როგორც მოქალაქეებისთვის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 - 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო ენის შესწავლის ყველაზე ეფექტური გზა მისი სკოლამდელი განათლების საფეხურიდან დაწყებაა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ, 2022 წლის აგვისტოში საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხად სასმელი წყლით მომარაგებასთან და გზებთან ერთად, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობაა დასახელებული.

საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5 %-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5% (საშუალოდ), რაც ევროპულ სამიზნე ნიშნულზე, 95 %-ზე ბევრად ნაკლებია.

ჩვენ, წინამდებარე პეტიციაზე ხელმომწერ პირებს მიგვაჩნია, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორენიაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნით, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფით, ხორენიაში მცხოვრები ბავშვები შეძლებენ საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზებას.

მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება და მისი ერთ-ერთი ფუნქციაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ:

დაარეგისტრიროთ წინამდებარე პეტიცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოთ მასში დაყენებული საკითხის (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორენიაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ) განხილვა-გადაწყვეტა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის შესაბამისად.

<u>დანართი:</u>

1. პეტიციის წარმდგენი პირის - ჰაიასტან გინოსიანის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);
2. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების (სულ 413 პირის) სია;

ჰაიასტან გინოსიან ----------

11.11.2022